საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 5 1921 წ. ხუთშაბათი მარტი 17

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის კომისარიატი აუწყებს მოქალაქე ამხანაგებს და თანამოსამსახურეთ, რომ ამა წლის მარტის 17-ს, ხუთშაბათს დილის 9 ნახ. საათ. გამოსვენებული იქნება სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს დაღუპული შოფერი-სტუდენტი ამხ.

## დავით ივანეს ძე სვანიძე

თავის ბინიდან ოსიფოვის შესახ. № 1. დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში.

---

ღრმად დამწუხარებულნი დედ-მამა: ივანე ხ კოლოზის ძე და ალექსანდრა ანდრიას ასული სვანიძენი, დები: ნინო გოზალოვისა, ელია ბედიანიძე, სიძენი: არტემ გოზალოვი და სერგო ბედიანიძე და დისწული ლიდია გოზალოვისა ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ამა წლის მარტის 13-ს მცხეთის გზაზე ტრაღიკულად დაღუპულ შოფერ-სტუდენტის

## დავით ივანეს ძე სვანიძეს

გვამს გამოასვენებენ ბინიდან ქ. ოსიპოვის შეს. № 1. ხუთშაბათს, მარტის 17 დილის 9 ნახ. საათ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში დაკრძალვა იმავე დღის დიდუბის ეკლესიის გალავანში. 663

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

წინადადებას აძლევს ქალაქ ტფილისის ყველა დაწესებულებათ და ორგანიზაციებს გამოუკლებლივ, დღიდან ამისა გამოცხადებისა სამი დღის განმავლობაში, მოაწოდონ ამავე კომისარიატის საინფორმაციო განყოფილებას შემდეგი ცნობები:

ა) სახელწოდება დაწესებულებათა,
ბ) რომელ ქუჩაზე იმყოფება დაწესებულება (სახლის № ალნუსხვით),
გ) გვარი იმ პირისა, რომელიც სათავეში უდგას დაწესებულებას და
დ) დაწესებულების ტელეფონის ნომერი.

კომისარიატის საქმეთა მმართველობა.

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

აცხადებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამშრომლების საყურადღებოდ, რომელნიც იგზავნებიან ქალაქ თბილისში სხვა და სხვა დავალებებით, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შინაგან საქმეთა კომისარიატში (შენობა ყოფ. კადეტთა კორპუსისა, შესავალი ევანგულოვის ქუჩით) სათანადო საბუთების რეგისტრაციის მიზნით; ამ საბუთებს უნდა გაუკეთდეს რეგისტრაცია აგრეთვე თბილისიდან უკან გაბრუნების დღესაც. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან და ჩამოდიან ქალაქ თბილისში.

სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობა.

## განცხადება

### კოოპერატივ „მეურნეს“-ს

გამგე ამით აცნობებს წევრებს, რომ რიგდება

## ლობიო

და დააჩქარონ მიღება ვისაც არ მიუღია.

გამგე.

## ოპერატიული ცნობა

მარტის 14-ს.

წარსულ დღე-ღამის განმავლობაში ფრონტზე, ბრძანების თანახმად საომარი მოქმედობა არსად ყოფილა.

## ტფილისი, ხუთშაბათი მარტის 17

ჩვენ გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რომ საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი და ქართველი ერი სუვერენული.

აქ გვინდა შევეხოთ საქართველოს ტერიტორიის საკითხს. ქართველი ერის დასუსტების დროს ყოველთვის სარგებლობდენ მეზობლები და მის განაპირა მხარეებს ეპატრონებოდენ. ამიტომ აჭრელდა ეტნოგრაფიულათ ჩვენი განაპირა მაზრები. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაშიაც დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა, რათა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მიწა-წყალი სხვებს არ წაეგლიჯათ და შეექმნათ პირობები ერის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის. მაგრამ ტერიტორიის საკითხიც, ისე როგორც მრავალი სხვა, მენშევიკური მთავრობის დროს ვერ იქნა სავსებით გადაჭრილი: საქართველოს გარეშე დარჩა ნაწილი მისი ტერიტორიისა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე სდგას ამ საკითხის სავსებით ამოწურვა ქართველი მშრომელი მასის აკეთილდღეოთ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ახლა შექმნილ მდგომარეობით მალა გაეხსნათ ბევრ ჩვენს მეზობელს და ჩვენი მიწა-წყლის წაგლეჯას ლამობენ: ბორჩალოს მაზრას, ფუ მთლიანად არა ნაწილს მაინც, სომხეთი მოისურვებს, ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომის ოლქზე ხარბად თვალები ოსმალოებს უჭირავს, აფხაზეთის შოვინისტები შეეცდებიან ეს მხარე, საქართველოს ჩამოგლიჯონ, ოსებიც გორის მაზრაში ოსეთის შექმნას მოისურვებენ.

ახალმა მთავრობამ ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს და ფხიზლათ სდარაჯობდეს ქართველთა ტერიტორიის მთლიანობას: არაფერი ისე არ დასცემს ახალ ხელისუფალთა ავტორიტეტს ხალხის თვალში, როგორც ერთი გოჯის ოდენაც კი საქართველოს მიწა-წყლისა სხვისთვის დათმობა; თანამედროვე ქართველობა, განურჩევლად მისი სოციალურ მდგომარეობისა, შეურიგდება თავის სამშობლოს დაკუწვას. ქომავალი თაობაც წყევლა-კრულვით მოიხსენიებს საქართველოს ყოველგვარ მთავრობას რომელიც მისი მთლიანობისათვის თავგამოდებით არ იბრძოლებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა არამც თუ დაიცავს საქართველოს თავის დღევანდელ საზღვრებში, არამედ შეეცდება დაუბრუნოს მას მისი ჩამოგლეჯილი ნაწილები, რაც ვერ მოახერხა მენშევიკურმა მთავრობამ.

ჩვენი ახალი მთავრობა საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას უნდა დაეყრდნოს და ამ ფარგლებში ახლავე შემოხაზოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია; დანარჩენი მიწა წყლის შემოერთება კი მთავრობის მორიგი საკითხი იქნება.

ტერიტორიის საკითხის ასე მოგვარებით საბჭოთა მთავრობა თავის მიზანს შეასრულებს, ქართველი ხალხის ეროვნულ საჭიროებას დააკმაყოფილებს და თავის მდგომარეობასაც განამტკიცებს.

## ბრძანება № 1

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარ სამხედრო-სანიტარო სამართველოსა.

1. ს. ს. ს. რ. მოქალაქეთა და სამხედრო ნაწილების უზრუნველსაყოფად საექიმო დახმარების მხრით, ცხადდება მობილიზაცია ქ. ტფილისში მყოფ ყველა საექიმო ძალებისა.

2. ვალდებული არიან გამოცხადდენ:

ა) ყველა ექიმები და ფარმაცევტები 52 წლ.

ბ) კბილის ექიმები და ექიმთა თანაშემწეები 45 წლ.

დ) მოწყალების დები 35 წლ.

შენიშვნა: ექიმი-ქალები და კბილის ექიმი-ქალები უნდა გამოცხადდნენ 40 წლ. ასაკამდე.

3. მობილიზაციიდან განთავისუფლებული არიან პროფესორები და შტატში მყოფი ასისტენტები.

4. მთელი საექიმო პერსონალი იყოფა 3 ჯგუფათ.

ა) პირველ ჯგუფში შედიან ექიმები.

ბ) მეორეში კბილის ექიმები და ფარმაცევტები.

გ) მესამეში ექიმთა თანაშემწეები და მოწყალების დები.

5. მობილიზაციის პირველ დღეთ ინიშნება 16 მარტი; ამ დღეს ცხადდებიან ის პირნი, რომელთა გვარი იწყება.

ა-ან-ი-მდე 16 მარტს
ა-ან-რ-მდე—17 მარტს
პ-დან-ტ-მდე—18 მარტს
უ-დან ალფავიტის ბოლო ასომდე 19 მარტს.

6. მობილიზაციის პირველ დღეთ მე-2 ჯგუფისთვის ინიშნება 20 მარტი. ამ დღეს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომელთა გვარი იწყება.

ა-ან მ-მდე, ლ-ან-რ-მდე—21 მარტს. პ-ან-ტ-მდე 26 მარტს. უ-ან ალფავიტის ბოლო ასომდინ—28 მარტს.

7. მობილიზაციის პირველ დღეთ მესამე ჯგუფისათვის ინიშნება 26 მარტი. ამ დღეს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომელთა გვარი იწყება ა-ან-მ-მდე ნ-ან-ტ-მდე 25 მარტს.

უ-ან ალფავიტის ბოლო ასომდინ—26 მარტს.

8. შემოწმება მოხდება საექიმო კომისიაში ყოფილ ჯანმრთელობის დეპარტმენტის ბინაზე, ქსენიევის ქ. № 10 დილით 9 საათ.

8. ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან, დასჯილნი იქნებიან სამხედრო რევოლიუციონური კანონების წესით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე ბ. კიკალიშვილი.

მთავარ სამხედრო სამინისტრო სამართველოს უფროსი გ. ფანცხავა.

12 მარტი 1921 წ. ქ. ტფილისი.

## დეკრეტი № 4.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების შემოღებისა და გზათა სამმართველოს მოსამსახურეებისა, ხელოსნებისა და მუშების მობილიზაციისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. გზებზე, როგორც რკინის, ისე შარა გზებზე, შემოღებულია სამხედრო წესები.

2. ყველა მოსამსახურენი, ხელოსნები და მუშები, მიუხედავად წლოვანებისა და სქესისა ჩაითვლებიან ჯარში გაწვეულათ და რჩებიან სამსახურში თავიანთ თანამდებობაზე.

3. ამისდა მიხედვით ყველა მოსამსახურენი, ხელოსნები და მუშები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მათი მეთაურების ერთ თანამდებობიდან მეორეზე განწესების და გადაყვანის განკარგულებებს.

4. სამსახურის ასრულების დროს დანაშაულობისათვის გზების ყველა მოსამსახურენი ხელოსნები და მუშები მიიცემიან პასუხის გებაში თანახმად სამხედრო დროის კანონებისა.

5. სამსახურის თავის ნებით დატოვება შეიძლება მხოლოდ ავადმყოფობის გამო ექიმების მიერ სათანადო შემოწმების შემდეგ და აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში.

6. დატუსაღება, ჩხრეკა გზათა მოსამსახურეების, ხელოსნების ან მუშების მიმართ შეიძლება მოხდეს მხოლოდ გზათა კომისართან შეთანხმებით.

7. თეთრეული, ტანისამოსი, ავეჯი და ამგვარი სახლის სამეურნეო ქონება, რომელიც წარმოადგენს გზათა მოსამსახურეების, ხელოსნების, მუშების ან მათი ოჯახების საკუთრებას, არ ექვემდებარება კონფისკაციას ან რეკვიზიციას.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები, ან საჭიროება, ამ მუხლში აღნიშნული ქონების რეკვიზიცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო მმართველობის წერილობითი დადგენილების თანახმად და გზათა კომისართა შეთანხმებით ყოველ კერძო შემთხვევაში.

8. საქართველოს ს. ს. რ. ყველა საბჭოები, სამაზრო და სხვა ადგილობრივი მმართველობანი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ გზათა მოსამსახურეების ხელოსნებისა და მუშების მშვიდობიან მუშაობასა და მატერიალურ კეთილდღეობას.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა. რევკომის მდივანი შ. გამრეკელი ჩიქე.

1921 წლ. მარტის 14. ქ. ტფილისი.

## მუშათა წერილები

### საუბარი მუშებთან

2.

**რისთვის არის შესაფერელი სოციალისტური წყობილება?**

დასაბამიდან, როდესაც ადამიანი გაჩენილა დედამიწაზე უსამართლობაც თან დაჰყოლია. ნაწილი ადამიანებისა გაჩენიდანვე მძიმე შრომას ეწევა, დღისა და ღამეს ასწორებს, მაგრამ მაინც ვერ უცხოვრია ადამიანურად, ისევ მშიერი, ტიტველი და მწყურვალია, ხოლო მეორე ნაწილი ადამიანებისა, რომელთაც არ იციან იმ თავიდანვე, რა არის შრომა, უსაქმოდ ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, ქეიფსა და დროს გატარებაში არიან, ფუფუნებით სცხოვრობენ და გარყვნილებაში ატარებენ დროს, წურბელასავით სწოვენ მშრომელთა სისხლს. თუ ქალაქის მუშას ზურგზე დასწოლია დიდ გასიებული მექარხნე ბურჟუა, ვაჭარი სპეკულიანტი და გასაქანს არ აძლევს, არც სოფლის გლეხი არის თავისუფალი და მასაც მაჯლაჯუნასავით სულს უხუთავს მემამულე, ათასნაირი მუქთა ხორა უსაქმონი და გლეხის დაკოჟრებული ხელებით მონაგარს უსირცხვილოთ ისაკუთრებენ.

როგორც ქალაქის მუშას, პროლეტარიატს, არ გააჩნია საკუთარი ქარხანა და გადაქცეულა ბურჟუაზიის ბრმა იარაღად, აგრეთვე სოფლის გლეხს არ გააჩნდა მიწა და მემამულეთა კლანჭებში ძლივს სუნთქავდა, წვითა და დაგვით ძლივს ყიდულობდა ორიოდ დღის სახნავ მიწას, რომლის დროსაც ბღებულ ვალებს საშველიშველოთ ვეღარ იშორებდა.

მაგრამ უსამართლობას ერთხელაც არის ბოლო უნდა მოღებოდა, მშრომელს თითონ უნდა დაპატრონებოდა თავის ოფლით მონაგარს და მუქთა ხორანი ერთხელ და სამუდამოდ ალაგმულიყვნენ. ამისათვის კი საჭირო იყო სოციალისტური წყობილება; სოფლად მთელი მიწების სოციალიზაცია და ჩადაცემა თვით მშრომელ გლეხებზე, რომელნიც საკუთარის ხელით დაიმუშავებენ, ხოლო ქალაქად ნაციონალიზაცია ფაბრიკა-ქარხნებისა და სახლებისა, რომელიც შეუქმნია მუშის მარჯვენას და გადაცემა მშრომელთა განკარგულებაში.

დღეს ჩვენს ახალს სოციალისტურს მთავრობას ფართო მაშტაბით დაუსახავს სოციალისტური წყობილების განხორციელება, რომლის მეოხებითაც უნდა წაილეკოს ის უსამართლობა, რომელიც მძიმე ლოდად აწვა მშრომელთა კლასს.

ამ შემთხვევაში ვის უნდა დაეჭიროს მხარი სოფლის და ქალაქის მუშას? რასაკვირველია მას, ვინც პრაქტიკულად იცავს მშრომელთა ინტერეს და ცარიელი ლაპარაკით არ მოატყუებს მას. თუ ბურჟუაზიულ გაბატონებულ კლასს სასიკვდილოთ ეჯავრება სოციალისტური წყობილება და პატარა მისი ნასახიც კი ძილს უფრთხობს და ყოველივე ძალღონეს ხმარობს მის სახელის გასატეხად, სამაგიეროდ მშრომელ კლასს უნდა უყვარდეს სოციალისტური წყობილება, რადგან ის მიანიჭებს ხსნას, ადამიანურ ღირსებას და საშუალებას მისცემს თავის ნაოფლარის მოხმარებისას, მოაცილებს იმ წურბელა ბაცილებს, რომელნიც დღემდის უსირცხვილოდ იკვებებიან მის მონაგარით.

ამისათვის თავგამოდებით უნდა იბრძოლოს სოფლისა და ქალაქის მუშამ საქართველოში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისათვის, თუ უნდათ, რომ ერთხელ და სამუდამოთ საძირკველი ჩაუყარონ იმ დიად მომავალს, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

ასოია-ამწყობი პ. ახალქალაე.

# გრუზავროსტას ქრონიკა № 1

1921 წლ. მარტის 14-ს

**ფოსტის მიმოსვლა კავკასიამდე.**

დაიწყო ფოსტის მიმოსვლა სამხედრო გზით ყაზბეგამდე რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაიწყება ფოსტის მიმოსვლა კავკასიამდე.

**რადიო.**

საჩქაროდ კეთდება რადიო სადგური ნავთლუღში. სულ ახლო მომავალში აღდგენილი იქნება კავშირი ევროპისა და აზიის დიდ ქალაქებთან.

**რადიო-ტელეფონი.**

მიღებულია ზომები რადიო ტელეფონის სადგურის საჩქარო ორგანიზაციისთვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო.

**ქალაქიდან გასვლის ნებართვა.**

11 ცალკე განყოფილების ნება-რთვის ბიურო აცხადებს: ქალაქიდგან გასვლის ნება მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც იგზავნება საჩქაროთ და საჭიროთ სამსახურის საქმის გამო. კერძო პირთა თხოვნები საკუთარ საქმის წასვლის გამო არ მიიღება. საზოგადოთ ქალაქიდგან გასვლის ნებართვის მიცემის დღე გაზეთში იქნება გამოცხადებული. ბიურო იმყოფება ველიამინოვის ქ. № 12.

**ტფილისის პოლიტეხნიკუმში.**

ტფილისის პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის საბჭომ მარტის 13 სხდომაზე დაადგინა კვლავ მიმართოს რევკომს თხოვნით, რომ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი საჩქაროდ აღიარებულ იქმნას სახელმწიფო დაწესებულებათ. 2) ინსტიტუტს მიეცეს ისეთი ბინა როგორიც შეეფერება უმაღლეს სასწავლებელს. თანახმად მე-11 არმიის პოლიტიკური განყოფილების თხოვნისა, ინსტიტუტის საბჭოს მიერ 50 ვაკანსია დაეთმო წითელ არმიელებს, სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების ყოფილ სტუდენტებს. ინსტიტუტის ეკონომიურ ფაკულტეტის დეკანათ არჩეულია პროფესორი ა. ა. მანიულოვი.

ინსტიტუტის ეკონომიურ ფაკულტეტზე გადიან ახალ კურსებს: 1) პრინციპები საბჭოთა კონსტიტუციისა, 2) თეორია საზოგადოებრივი კლასებისა, 3) აღმოსავლეთის საკითხი მე-19 საუკუნეში.

**ქაღალდის ყიდვა და გაყიდვა**

სახელმწიფო გამომცემლობის „გრუცენტროპეჩატის" ბრძანება)

§ 1.

ამით ეუწყება ყველას, ყველანაირი ქაღალდის ყიდვა და გაყიდვა შესაფერ ნებართვის გარეშე, რომელსაც ეძლევა „გრუცენტროპეჩატის" საგამომცემლო განყოფილება, აკრძალულია.

§ 2.

აკრძალულია ქაღალდის გადატანა ერთი ბინიდან მეორეში, უკეთუ „გრუცენტროპეჩატის" განყოფილება ნებადაურთველათ.

§ 3.

ქაღალდის რეგისტრაციის ვადა უქმე დღეების გამო (12 და 13 მარტს) გაგრძელებულია მარტის 15-მდე. იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთა ჯერ კიდევ ცნობა არ მიუციათ, წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ განაცხადონ საგამომცემლო განყოფილებაში, უკეთუ მარტის 15 შემდეგ ვისმეს აღმოაჩნდება ქაღალდი, წაერთმევა და დამნაშავე სამართალში იქნება მიცემული რევოლიუციონურ დროის სისასტიკით და პასუხს აგებს ქაღალდის დამალვისათვის. სახელმწიფო გამომცემლობის გამგე. ბაქტადიევი. გამომცემლობის განყოფილების გამგე დ. ლევინსკი. მდივანი ა. ტარბეევი.

**ნავთის ხაზის გახსნა ბაქო-ტფილისს-ბათომს შუა.**

ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა გუსეინოვმა ბაქოდან რადიოთი აცნობა რევკომის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს: „დღეს, 16 საათსა და 10 წუთზე მეფის მიერ შექმნილ ხალხთა საპყრობილის დანგრევის 4 წლის თავზე. აზერბეიჯანის მეთაურმა ამხ. ნარიმან-ნარიმანოვმა. ა. ს. ს. რ. ყველა ნარკომის თანადასწრებით გახსნა ნავთის სადენი ბაქო-ტფილისს-ბათომს შორის. აზერბეიჯანის მშრომელნი, რომელთაც შეიარაღებული დახმარება გაუწიეს მუშებსა და გლეხებს ანტანტის დაქირავებულ მენშევიკებთან ბრძოლაში, დღეს საქართველოს და აზერბეიჯანის მშრომელთა ძმურ კავშირს ამტკიცებენ ეკონომიური ჯაჭვით. ნავთი, რომელიც უთანხმოების საგანია ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა შორის და ეხლა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში მიედინება, ამტკიცებს ხალხთა ძმობას და არღვევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების იმ კედლებს, რომელსაც არა სცნობენ კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებულნი მშრომელნი. დღეს დღეს კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმპერიალისტები კომუნიზმის სიმტკიცესა, ცხოველყოფილობასა და დიდ მომავალში, იმ კომუნიზმის, რომელსაც მოაქვს მსოფლიოსთვის იმპერიალისტების ცეცხლ-გლეჯისაგან თავის დახსნა, და რომელიც არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმით ამტკიცებენ იმით, რომ პროლეტარიატის მიერ გადაჭრილია საკითხები, რომლის გამო იმპერიალისტები სისხლის ღვარს აყენებენ. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მშრომელთა ძმურ კავშირს, გაუმარჯოს ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც ანტანტის ლაქიების ბუდე მოსპეს, ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი გუსეინოვი. ეს რადიო გაეგზავნა აგრეთვე ნარკომის თავმჯდომარეს ლენინს, ჩიჩერინს, რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. რუსეთის აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ორახელაშვილს, რუსეთის სამხედრო საბჭოს კავკასიის ფრონტის წევრს ორჯონიკიძეს, ყველა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებს. ტელეგრამა მარტის 13 თარიღით არის აღნიშნული.

**მარტის 18 დღესასწაული.**

საქართველოს რევკომის დადგენილების თანახმად მარტის 18 პარიზის კომუნის ნახევარ საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება არ იქნება ყველა დაწესებულებებს და სახლის პატრონებს ევალებათ შენობები დროშებით და და ხალებით მორთონ.

**ხელოვნება.**

**საკამერო თეატრი.** საკამერო თეატრის კოლექტივმა სახალხო განათლების კომისარს მიმართა თხოვნით, რათა საკამერო თეატრის საჭიროებისათვის გადაეცეს იქნას დროებითი სუბსიდია, სახალხო განათლების კოლეგიამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. კამერულ თეატრის კოლეგიასთან 21 მარტიდან იხსნება დრამატიულ ხელოვნების პრაქტიკული სამუშაო განყოფილება. ჩაწერა შეიძლება კამერულ თეატრში დღის 12 ს.-2 საათამდე და საღამოს 6 ნახ.—7 ნახ. საათამდე, 20 მარტამდის.

**ხელოვნების მუშაკთა კავშირში.**

ყველა უმუშევართ იწვევენ სარეგისტრაციოთ პურის ულუფის მისაღებად, ანხ. ჩოჩიევთან. უმუშევართ უნდა წარმოადგინონ საჭირო საბუთები, ხელოვნების მუშაკთა კავშირში საწევრო ბარათი, სახლის კომიტეტის მოწმობა, ვის რამდენი სული ჰყავს შესანახი, და სამსახურის შოვნის დროს ყველამ უნდა ამის შესახებ აცნობოს საკრეტარიატს.

**სახალხო სახლში.**

პარასკევს მარტის 18 უკრაინის დასის მიერ წარმოდგენილ იქნება პირველად თბილისის სცენაზე 5 მოქმედებიანი „გრეს იკრა" კვირას რუსული დასი დასდგამს გოგოლის რევიზორს.

**მუშათა აუდიტორია.**

ქართულ დრამატიულ სექციამ აირჩია ადგილობრივი კომიტეტი. კომიტეტში შედიან: თავმჯდომარეთ ანთაძე, მდივნათ მიქელაძე. კვირას 21 მარტს წარმოადგენენ რამიშვილის პიესას „მეზობლები".

**ბილეთების განაწილება.**

11 არმიის პოლიტ-განყოფილებამ დაადგინა ყველა ტფილისში არსებულ თეატრების და კინემატოგრაფის ბილეთები განაწილდეს გრუზავროსტას თეატრალურ სექციაში მუშა-მოსამსახურეთათვის მისაცემად. ამიტომ გრუზავროსტა სთხოვს ყველა უფასო ბილეთები წარმოადგინონ თეატრალურ მუსიკალურ განყოფილებაში (რუსთაველის პრ. №24).

**ქალაქის პენსიონერები.**

ქალაქის კომ. განმარტავს, რომ ის პირნი, რომლებიც ღებულობდნენ საბჭოთა ძალა უფლების დამყარებამდე ქალაქისაგან პენსიას, მიიღებენ შემდეგშიაც ძველებურ პირობებით და საფუძველით.

**ტრამვაის უფასო ბილეთები.**

ქალაქის რევ. კომიტეტმა დაადგინა მიეცეს ტრამვაის უფასო ბილეთები მხოლოდ იმ დაწესებულებათა მოსამსახურეებს და მილიციელებს, რომლებსაც სამსახურის ასრულების დროს უხდებათ ხშირი სიარული.

**აფთიაქების და პურქლის საწყობების აღრიცხვა.**

ქალაქის რევ. კომიტეტმა წინადადება მისცა საბინაო განყოფილების სავეჯო ქვეგანყოფილებას აღრიცხოს ყველა მსხვილი ავეჯის და პურქლის საწყობები და აწეროს ყველა მათი საქონელი ჯარის ნაწილების და სხვა ორგანიზაციების რაციონალურ დაკმაყოფილებისათვის.

# ახალი ამბები

— დაკარგულია პირადი მოწმობა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტის მიხეილ მესხელიშვილისა გთხოვთ ჩასთვალოთ გაბათილებულად.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. შ. ნუცუბიძის ხელმძღვანელობით ეწყობა წრე მსურველთათვის სოციალურ ფილოსოფიის შესასწავლად.

— როგორც გადმოგვცეს ტფილისში ჩამოსულან სხვა და სხვა ქალაქებიდან სპეკულიანტები და წინააღმდეგ არსებული კანონისა მაინც ახერხებენ ქაღალდის და აგრეთვე სხვა საქონლის შეძენას და აქედან გატანას. საჭიროა ეხლავე იქნას მიღებული რაიმე რეალური ზომები.

— საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაწვრალთა კავშირი მოუწოდებს თავის წევრებს დაუყოვნებლივ გამოცხადნენ სარეგისტრაციოდ.

წევრების რეგისტრაცია და ახალი წევრების მიღება სწარმოებს ყოველდღე კავშირის ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6 ყოფილ გაზ. „გრუზიას" ბინაზე.

**საქართ. რევოლ. სინდიკალის მუშ. კავშირი.**

# სახელმწიფო ენა საქართველოში

**რევკომის ბრძანება.**

მიუხედავათ რევკომის არა ერთხელ გამოცემულ ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო ვალდებულია სასტიკათ აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ ტფილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება. აღნიშნულ ბრძანების წინააღმდეგ. იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთ დაწესებულებიდან. რევკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს სასტიკათ ასრულებულ იქმნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვით გამორკვევის დამოუკიდებლობის მოსპობას, სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, არამედ თავის მიზნად ისახავს გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვით გამორკვევა.

უკანასკნელ დროს გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომელნიც შლიან დუქნებისა და სხვა დაწესებულებათა შენობებზე ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ დასჯას.

რევკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციულ მოქმედებისთვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

**განცხადება მილიციის უფროსისა.**

შენიშნულია, რომ ზოგიერთი ბოროტ-განზრახველნი ავრცელებენ პროვოკაციულ ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქმის აუცილებელია მოისპოს მაღაზიების და სავაჭრო დაწესებულების ქართული წარწერები. ვაცხადებ, რომ ვინც შემდეგში იქნება შემჩნეული ასეთ პროვოკაციაში, ან ქართულ წარწერების წაშლაში, იქნება მიცემული პასუხის გებაში და დაისჯება რევოლიუციონურ დროის სრული სისასტიკით.

ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი მ. ჩხეიძე.

# საბჭოთა რუსეთში

მარტის 17.

**დათესვის წინაშე.**

**პეტროგრადი.** 13-3. (რადიო) დღევანდლამდე საზღვარ-გარედან რუსეთში შემოტანილია 1.600 ვაგონი სასოფლო სამეურნეო სხვა და სხვა მანქანები. უმთავრესად ჩამოტანილია სახნისები, სანივთ და სალეწი მანქანები.

**პეტროგრადი წითელ პიტერში.**

(რადიო). პეტროგრადში მცხოვრებთ ურიგებენ სხვა და სხვა მანუფაქტურას, ძაფებს, ნემსებს და საპონს.

**სევასტოპოლში.**

**ნიკოლაევი.** 12 3 (რადიო) ყირიმიდან ჩამოსული მეზღვაურნი გადმოგვცემენ, რომ გაქცეულ თეთრგვარდიელების მიერ დატოვებული გემები ყველა შეკეთებულია. სევასტოპოლში ხალხს სადილი უფასოდ ეძლევა. დონბასიდან ჩამოიტანეს ქვა-ნახშირი. ქარხნებში მუშაობა სწარმოებს. კონსტანტინოპოლიდან რამდენიმე ოსმალეთის გემი ჩამოვიდა. გამომუშავებულია მომავალ ნაოსნობის გეგმა. გეგმაში შედის ბათომის, ზუნგულდაკის და ბელგრად-ანატოლიის გზები.

**რ. კ. პ. მე 10 ყრილობის მიმართვა პეტროგრადის მუშებისადმი.**

**მოსკოვი.** 15—3. (რადიო). იმ დროს, როდესაც მუშათა კლასის მტრები სცდილობდნენ დაანთონ ახალი სამოქალაქო ომის ცეცხლი ჩვენს მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკაში, ჩაგვაგდონ ჩვენ დაუსრულებელ გაჭირვებებში აჯანყებათა და გაფიცვების მოწყობით, რკინის გზათა დანგრევით, სათბობი მასალის წყაროებთან კავშირის და ჩვენი სამრეწველო ცენტრებისათვის ნედლი მასალის მიწოდების შეწყვეტით, ამასთან გვიწლიან ჩვენ, რომ მოვახდინოთ ლაშქრის დემობილიზაცია და დავაბრუნოთ მუშები ლაშქრიდან მიწის დასამუშავებლათ. (გამოტოვებულია)... და ავამაღლოდ ჩვენი მრეწველობა. მეათე ყრილობა რუსეთის კომუნისტურ პარტიისა ეხლა სწყვეტს სწორეთ საკითხებს, თუ როგორ მოაწყოს საფუძვლიანათ პროფკავშირები, როგორ დაუახლოვოს ისინი წარმოების მმართველობას, როგორც გაუმჯობესოს, ასწიოს და გაადიდოს წარმოება, რათა მივცეთ საქონელი სოფელს, როგორ შევასუსტოთ სათბობი მასალის კრიზისი, როგორ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა, მუშათა და გლეხთა ქალაქსა და სოფლის შორის საქონლის გაცვლა გამოცვლის საშუალებით, როგორ შევამციროთ რაოდენობა და გავაუმჯობესოთ ღირსება წითელი არმიისა და დავამყაროთ უფრო მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა სახელმწიფოებთან. რ. კ. პ., გამოსული მუშათა კლასის წიაღიდან, რომელსაც ჰქონდა მჭიდრო, პური და საერთო პროგრამით შედუღებული კავშირი პეტროგრადის-რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველ ქალაქის მუშათა კლასებთან, უგზავნის სალამს პეტროგრადის მუშებს და მოუწოდებს პეტროგრადის მთელ პროლეტარიატს ბოლომდე იდგეს მტკიცეთ იმის დასაცავათ, რაც 4 წლის წინათ მოპოვებულ იქმნა დიდი მსხვერპლის ფასით. ყრილობა დარწმუნებულია, რომ პეტროგრადის პროლეტარიატი შემდეგშიც იქნება მაგალითი რევოლიუციონურ მომზადების, შრომის დისციპლინის, უდიდესი საქმის პროლეტარული რევოლიუციისათვის თავდადების და საბჭოთა უფლების შეურყეველი საფუძველისა მთელის რუსეთის მშრომელთა და მსოფლიო პროლეტარიატისათვის. ლენინი, ტროცკი. ფრუნზე, ზინოვიევი, კამენევი, შლიაპნიკოვი, ბუხარინი, ტომსკი, მიხა ცხაკაია, იაროსლავსკი, ტუნტული".

# უცხოეთში

მარტის 13

**უმუშევრობა ინგლისში.**

**ნაუენი.** უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრის 1.180.000 ასამდის მაღაროში ინგლისში შესწყვიტა მუშაობა.

ინგლისი იმყოფება რკინის გზელთა გაფიცვის მუქარის ქვეშ. რკინის გზელთა კავშირმა ულტიმატური მოთხოვნილებით მიმართა მთავრობას, რომ მთავრობამ მოახდინოს ახალი გამოძიება ირლანდიაში დახოცილ რკინის გზელთა შესახებ. რკინის გზელთა კავშირი ეხლა თხოვს აგრეთვე მთავრობისგან გარანტიებს, რომ ისინი მომავალში არ იქნებიან დევნილნი.

**იტალია და ქემალისტები.**

**ლონდონი.** იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იტალია სცნობს ანგორის მთავრობას და იმყოფება მასთან შეთანხმებულ ურთიერთობაში. იტალიამ გადაწყვიტა დაამყაროს ანგორასთან ფინანსიური და ეკონომიური ურთიერთობა.

**გერმანიის ოკუპაციის გარშემო.**

**ნაუენი.** 10—3. (რადიო). ინგლისის თემთა პალატაში ნახშირის წარმოების კანონ-პროექტის დროს მუშათა წევრმა (დამახინჯებულია) მიუთითა იმ მდგომარეობაზე, რომ საფრანგეთი ღებულობს ინგლისის ნახშირს უფასოდ და აძლევს მას. (დამახინჯებულია) რომლებსაც წინად აწვდიდა ინგლისი. ამ რიგით იძულებული ხდის გერმანიას ჩაიდინოს ეს თავის და საზარალოთ, რადგანაც, წარმოების შემცირებით, თვითონ აძლიერებს უმუშევრობას თავის ქვეყანაში. მტკიცდება ცნობა, რომ საფრანგეთმა და ბელგიამ 450,000 ტონზე მეტი გერმანული ნახშირი გადასცა ეს გოლანდიას რაც ამტკიცებს, რომ არც საფრანგეთი და არც ბელგია არ საჭიროებენ იმ რაოდენობას ნახშირისას, რომელსაც მოითხოვენ გერმანიისაგან.

**ლოიდ ჯორჯი ლონდონის კონფერენციის შესახებ.**

**ლიონი.** 12—3 (რადიო) თემთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ლოიდ ჯორჯმა წარმოსთქვა დიდმნიშვნელოვანი სიტყვა. მან აღნიშნა უკიდურესი ხასიათი გერმანიის წინადადებათა. რომელთა რეალიზაცია დააკისრებდა გერმანიას ნაკლებ მოვალეობას, ვიდრე საფრანგეთსა და ინგლისს. ლოიდ ჯორჯმა ხაზგასმით აღნიშნა აზრთა მთლიანობა, რომელსაც მიაღწიეს მოკავშირეებმა გერმანიის მიერ ზარალის ანაზღაურების შეძლების მიხედვით.

**აღმოსავლეთის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე.**

**ლიონი.** 12—3 (რადიო) საბერძნეთის დელეგაციამ ლონდონის კონფერენციაზე მიიღო ხუთშაბათს შეთანხმების პროექტი, შემუშავებული მოკავშირეთა მიერ. ანგორის დელეგაციამ განაცხადა, რომ მას არ აქვს საკმაო რწმუნებულება ამ შეთანხმების მისაღებათ და ამისათვის მას (შეთანხმებას) ექნება დროებითი ხასიათი.

**ლონდონის კონფერენცია.**

**ბაქო.** 10—3. ლიონის რადიო სადგური გერმანელების მიერ ლონდონის კონფერენცია აღდგენილ კონტრ წინადადებათა შესახებ იუწყება შემდეგს: ორშაბათს სიმონსმა ლონდონის კონფერენციას წარუდგინა გერმანელების კონტრ წინადადებანი, რომელშიაც გერმანიამ განაცხადა თანხმობა მიიღოს გადასახდელად 58 მილიარდი იმ პირობით, რომ გერმანიას შერჩება ზემო-სილეზია მოკავშირეებმა ერთხმად უარყვეს გერმანიის კონტრ წინადადება, რომელიც იმათი აზრით სასაცილოა. 4 ნახევარ საათზე ლოიდ-ჯორჯმა აცნობა გერმანიის დელეგატებს, რომ მოკავშირენი შეუდგებიან ზეგავლენის ზომების ხმარება 15 წუთის განმავლობაში მსჯელობის შემდეგ სიმონსმა მხოლოდ პროტესტი განაცხადა ამ ზომათა წინააღმდეგ.

**ოსმალთა გამარჯვება ლონდონის კონფერენციაზე.**

**ლიონი.** მარტის 12. (რადიო) ბრიანი ლონდონიდან წამოსვლის წინ, შეუთანხმდა ოსმალეთის დელეგაციას კილიკიის სასწრაფოს ევაკუაციის, ტყვეების გაცვლის სამხედრო მოქმედების დაუყონებლივ შეწყვეტის მცხოვრებთა ხელშეკრულობის და ქონების და უმცირესობის დაცვის შესახებ.

**ინგლისის მუშების პროტესტი.**

**ნაუენი.** 12—3 (რადიო) ინგლისის მუშებმა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს რეინის მარჯვენა ნაპირის ოკუპაციის გამო ანტანტის მიერ.

**ოკუპაციის განვითარება.**

**მოსკოვი.** 14—3 (რადიო) ბელგიის მთავრობამ უმაღლეს საბჭოს განუცხადა, რომ საჭიროა რეინის მარჯვენა ნაპირის ოკუპაციის გაფართოვება თვით ჰოლანდიის საზღვრებამდის წინააღმდეგ შემთხვევაში მოკავშირეთა ოკუპაცია მიზანს ვერ მიაღწევს.

რედაქტორი ლიდო დღონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.